**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

# მკვდრის ლექსი

მკვდრის ლექსი, სამგლოვიარო ლექსი, რომელშიც გადმოცემულია მიცვალებულის ცხოვრების ღირსსახსოვარი მომენტები და გარდაცვალებით გამოწვეული მწუხარება როგორც ჭირისუფლის, ისე სოფლისა და თემისა. მ. ლ-ის მიზანია მიცვალებულის სახელის წარმოჩენა. ლექსი ფანდურზე იმღერებოდა, ზოგიერთ კუთხეში მ. ლ. ფერხულის თანხლებით სრულდებოდა.

*ლიტ.*: ვ ი რ ს ა ლ ა ძ ე ე., ქართველ მთიელთა ზეპირსიტყვიერება, თბ., 1958; ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი მ., ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ., 1956; ჩ ი ჯ ა ვ ა ძ ე ო., ქართული მუსიკალური ფოლკლორის მცირე ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბ., 2009.

***დ. გოგოჭური***